სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

## აკადემიური საბჭო

## დადგენილება №09-33

გორი 04 . 09 2017წ.

**სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის დამტკიცების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 04 სექტემბრის N22 გადაწყვეტილების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (04.09.2017. N1011529) და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (04.09.2017. N1007086) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი დანართი N1-ის შესაბამისად;

2. კანცელარიის გამგემ უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ დადგენილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი N1

| # | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | პროფესიული განათლების საფეხური | სწავლების ენა | კრედიტების რაოდენობა | პროგრამის ხანგრძლივობა (თვე) | ადგილების რაოდენობა | პროფესიული პროგრამის ღირებულება | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მცირე ბიზნესის მწარმოებელი | IV | ქართული | 60 | 10 | 200 | 2250 | მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | პირველადი საფეხური (საგნობრივი პროგრამა) |
| 2. | რძის გადამმუშავებელი | IV | ქართული | 30 | 6 | 10 | 1500 | რძის გადამმუშავებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | შემდგომი საფეხური (საგნობრივი პროგრამა) |